№ 101 17 მაისს, ხუთშაბათი 1866—1879 17 მაისს, ხუთშაბათი № 101

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ერთ ხაზზე—1 კაპ., ორ-სამ-თავრულ-ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

პირველი მაისიდამ წლის დამლევამდინ 6 (ექვსი) მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრამები

(„ხალხთა-შორის ტელეგარფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 14 მაისს. გაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ იწერებიან, რომ კიევში დაიჭირესო ის კაცი, რომელმანც ღენ. დრენტელნის მოკვლა განიზრახაო. დამნაშავე გაქცეულა მაშინ ვარშავში, იქიდამ კიევში წამოსულა, სადაც უაქიმებია ფეხისთვის, რომელიც იტკინა, როდესაც პეტერბურღში გადმოვარდა ცხენიდამ, პროფესორმა კარავაევმა აპერაცია გაუკეთა იმას ფეხზე კიევის ღოშპიტალში. ახლა ის დატუსაღებულია.

ზღვის სამინისტროს უფროსი ლესოვსკი ხვალ მიდის სებასტოპოლში შავი ზღვის ნავსადგურების დასახედავად.

მოსკოვი, 14 მაისს. წუხელი, ღამით, დაიჭირეს ერთი რიგიანათ ჩაცმული 30 წლის ქალი, რომელიც რევოლიუციურ პროკლამაციის აკვრას აპირებდა უნივერსიტეტის ეკკლესიის კარებზე. დაიჭირეს აგრეთვე მეორე ქალი, რომელიც აგრეთვე რაღაც ქაღალდის აკვრას აპირებდა ფანრის სვეტზე.

ბერლინი, 14 მაისს. იმპერატორმა ვილჰელმმა ბოლგარიის მთავარს მაიორად დანიშნა.

პარიჟი, 13 მაისს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრევიმ აპატია 400 პირს, რომელნიც დასჯულნი არიან 1871 წლის პარიჟის არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის. ნაციონალურ კრებაში დეპუტატს კასსანიაკსა და ქობლეს შუა გაცხარებული ლაპარაკი ატყდა. კასანიაკმა რეგუნდანტები გაუგზავნა ქობლეს.

პეტერბურღის ბირჟა, 14 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის — —	97	25
მეორე — — — — — —	96	25
მესამესი — — — —	96	25
მეოთხესი — — — —	96	25
აღმოსავლეთის პირ. —	94	— „
აღმოსავლეთის მეორე —	94	50
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	56
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — —	„	— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	243	50
მეორე სესხის — — —	239	— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—26	პენსი
ამსტერდამი — —	116	„ ცენტი
ბერლინი — — —	196	„ პფენიგი
პარიჟი — — —	242	„ სანტიმი
კავკასიისკე რასინი		„ — „

საქართველო

„საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრება.

ბუშინწინ, 15 მაისს, თფ. საადგილმამულო ბანკის ზალაში იყო პირველი სხდომა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“. კრებაზე დაესწრო სულ 45 კაცი დამაარსებელნი წევრნი საზოგადოებისა და პირნი, რომელთაც წევრად შესვლა ისურვეს.

სხდომის გახსნისათანავე უფ. დ. ი. ციფიანმა მოახსენა კრებას მოკლე ისტორია საზოგადოების დაარსებისა; სთქვა, რომ საზოგადოებას შეადგენს ამ ჟამად 126 დამაარსებელი და ეს რიცხვი მუდამ შეუცვლელი უნდა იყოსო. ღღეს 60 კაცმა გამოაცხადეს სურვილიო, რომ წევრებად ჩაეწერონო,—და როგორ ინებებთ: კენჭის-ყრით მივიღოთ ეს ჰერები, თუ უკენჭოთაო. დამაარსებლებმა გადაწყვიტეს უკენჭოთ მიღება წევრებისა.

ორი მიცვალებული დამაარსებელი წევრის (თ. ი. ა. ორბელიანისა და ბ. ლ. ღოდაბერიძის) მაგიერ კრებამ ამოარჩია უფ. ალ. საგარეჯელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეობა კრებამ სთხოვა თ. ბრ. დ. ორბელიანს; ამან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას პატივის-ცემისათვის, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, უარი გამოაცხადა ამ თანამდებობის მიღებაზედ. ამის გამო გამგეობის თავსმჯდომარედ ერთხმად იქმნა ამორჩეული უფ. დ. ი. ციფიანი.

შემდეგ თვით გამგეობის წევრების ამორჩევას შეუდგნენ. სულ 6 წევრი უნდა ამორჩეულიყო გამგეობისა; ამათგან ერთი უნდა ყოფილიყო თავსმჯდომარის თანაშემწე, ერთი სეკრეტარი და ერთიც ხაზინადარი. კენჭის-ყრის მსურველნი 28 კაცი ამოჩნდა. მომეტებული კენჭი შემდეგ პირებს ხვდა: ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ცხვედაძეს, იაკობ ბოგებაშვილს, ივანე მაჩაბელს, რაფაელ ერისთავს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, ნიკო ძანანოვს, დავით ავალიშვილსა და გიორგი უთურგაულს. ამათგან პირველი ექვსი გამგეობის წევრებად დარჩნენ და უკანასკნელი სამი ამათ კანდიდატებად.

გამგეობამ თავის შორის ამორჩია: თავმჯდომარის თანაშემწედ—ი. ჭავჭავაძე, სეკრეტრად—ა. სარაჯიშვილი და ხაზინადრად—რაფ. ერისთავი.

შემდეგი სხდომა საზოგადოებისა, რომელზედაც გამგეობამ უნდა წარმოადგინოს შემოსავლის ანგარიში და გასავლის პროექტი, დანიშნულია მაისის 21-ისათვის.

დღიური

*** ჩვენ გვითხრეს, რომ თფილისის სამხედრო გიმნაზიაში ამ ჟამად სულ 345 ყმაწვილი არისო; ამათში 235 ქართველი ურევიაო, 2 სომეხი, 1 თათარი და დანარჩენი რუსი.

ამბობენ, რომ ამ გიმნაზიაში ქართველ ყმაწვილებს სრულებით არ ასწავლიან ქართულ ენასაო და ამის გამო ამ ორას-ოც-და-ხუთმეტ ყმაწვილში ზოგიერთებს, რომელთაც სამი-ოთხი წე-

ლიწადი დაუყვიათ აქ, სრულიად დავიწყებიათ თავიანთი სამშობლო ენაო.

მგონია ურიგო არ იქნება, რომ ამ გარემოებას, მიაქციონ ყურადღება.

*** ბამოჩენილის აიაზაკის ტატო წულუკიძის საქმის გარჩევა 22 მაისისათვის არის დანიშნული თფილისის ოლქის სასამართლოში.

*** ბაზეთს „კავკაზს“ გაუგონია, აქაურს უმაღლეს სამხედრო მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ შემდეგში პურისა და საზოგადოთ ყოველ გვარი სურსათის მოტანა ჯარისათვის იჯარით აღარ გასცეს მეიჯარადრეებზედაო. არამედ პრავიანტის მაღაზიები გამართოს ადგილობრივ იქ, საიდამაც ის პროვიანტი მოაქვთ მეიჯარადრეებსაო და პრავიანტიც თვითონ მწარმოებელთაგან, პირ-და-პირ სოფლის ხალხისაგან იყიდონო. მეიჯარადრეებ[illegible] ექნებათ მხოლოთ მიცემული ამ პრავიანტის მიზიდვა იქ, საცა ჯარები დგანან.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ პროექტის სისრულეში მოყვანა დიდათ სასარგებლო იქნება როგორც მწარმოებელ ხალხისათვის, აგრეთვე თვით ხაზინისთვისაც.

*** სოხუმის მაზრის ადმინისტრაცია აცნობებს იმ პირთ, რომელთაც ქალაქ სოხუმში სახლები და ადგილ-მამული ჰქონდათ, რომ, რადგან ეს ქალაქი აოხრებულია და ყველა დოკუმენტები დაიკარგა კანცელარიებში, ამის გამო ამათ, ექვსი თვის განძავალობაში, უნდა წარადგინონ ან ნამდვილი და ანუ დამოწმებული პირი იმათის კუთვნილების უფლებისა უძრავ მამულზედ.

*** ბუთაისიდამ გვწერენ, რომ ერთი იქაური შეძლებული ვაჭარი უფ. ხარაზოვი თავის ხარჯით აპირებს სახლის აშენებას, რომელშიაც 8 ოთახი განსაკუთრებით ბანკის მმართველობისათვის იქნება, ერთი დიდი ზალა წარმოდგენებისათვის და თავად-აზნაურთა კრებებისათვის და ამ ზალასთან იქნება კიდევ ორი ოთახიო.

*** ბუთაისიდამვე მივიღეთ ამბავი, რომ ამ უკანასკნელ დროს ამ ქალაქში ძალიან ბევრი არიან ავათ ხურებითა და ყვავილითაო.

ჩვენება

ბუთაისის ბანკის წევრთა კრებაში მოხდა ერთი შესანიშნავი საქმე, რომელმაც თითქოს წარსწყმინდა ჩვენი ახლანდელი თავად-აზნაურობის კრება.

ბამგებლის ამორჩევის დღეს გავრცელდა ხმა, ვითომც თ. ფალავეებისათვის მიეტანოსთ ხუთასი მანეთი ერთი პარტიის კაცების გადასაბირავათ მეორე პარტიაში.

ამ ამბის შესახებ მეორეს დღეს, დილის ათს საათზე, კრების წინ თ. მელქისედეკ ფალავა მოვიდა ზიორგი წერეთელთან და თ. დათა მიქელაძესთან და გამოაცხადა: ფალავეებს ფული მოუვიდათ; იმათ უნდათ განაცხადონ კრებაში ეს გარემოება და ფული ქალების სასწავლებელს შესწირონ.

დ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ვინ მოიტანა ფული?

მ ე ლ ქ. ფ ა ღ ა ვ ა. ამბობენ, დიმიტრი ერისთავმა და ბაქრაძე პრისტავმა.

გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. უეჭველად თქვენ თვითონაც გეცოდინებათ ვინ მოიტანა?

მ ე ლ ქ. ფ ა ღ ა ვ ა. მე ვიცი, რომ დიმიტრი ერისთავმა მოიტანა.

დ: მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ვინ მოიტანა? დიმიტრი ერისთავმა?

ფ ა ღ ა ვ ა. დიახ.

ამ გვარ მოლაპარაკებაზე კიდევ ადრე მოვიდა. **დ ა ვ. ბ ა ქ რ ა ძ ე** შეწუხებული და სთქვა: მე თქვენ გთხოვთ, გაძოიძიოთ ეს საქმე პირში წადგომით.

ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი. დიახ, სწორეთ საჭიროა ეს საქმე აიხსნეს, ამას საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

— **მ ა შ,** მე ეხლა სუდში მიეეჩქარები და როდესაც საზოგადოება შეგროვდება, შიხმეთ და გიახლებით.

ერთს საათს შემდეგ მოვიდა საზოგადო კრებაში **დავ. ბაქრაძე** და გამოაცხადა:

— ბოხოვთ უმორჩილესად, სთქვათ, მართალია თუ არა ის სამწუხარო ხმა, რომელიც ამ დღეებში საზოგადოებაში გავრცელდა, ვითომც ჩემს. მაგიერ ფალავეებს ფული მისცელოდეს

კრებაში ისმის: „ჩვენ ეგ არ გაგვიგონია და არც არა ვიცით-რა მაგისი“.

ამის შემდეგ მოხდა კერძო ყრილობა კლუბის ერთს ოთახში, რომელიც პ. წულუკიძეს უჭირა; დაესწრენ შემდეგი პირები: ღენერალ-მაიორი სპირიდონ მაჭავარიანი, მამია ბურიელი, თ. დავით მიქელაძე, იოანა მეუნარგია, **დავ. ლორთქიფანიძე,** თ. **დ. წ ულუკიძე, თ. ბ ახვა ფ ალავა,** თ. **მ ელქ. ფ ალავა,** თ. **მ იხაილ ფ ალავა, დ ავ. ა ბდუშ ელიშ ვილი, ბ. წ ერეთელი, დ ავ. ბ აქრაძე, ნ. ჩ იკვაიძ ე,** თ. ერმოლაი ბელოვანი, თ. **ი ასონ ბ ელოვანი** და სხვები.

რასაც ამ კერძო კრებაში შევიტყობდით, ის უნდა გამოგვეცხადებინა გაზეთში. პირობა ასე იყო დადებული.

ს პ ი რ ი დ ო ნ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი. მართალია თუ არა ეითომც ხ უ თ ა ს ი მ ა ნ ე თ ი მოეტანოსთ თქვენთვის?

თ. ბ. ფ ა ღ ა ვ ა. რას ბრძანებთ! ეს ჩემი სულო წაწყმდეს, მე თუ ან მოტანილი ფული მენახოს, ან იმის მოტანი. არც ის ვიცი, ვინ მოიტანა და არც ის ვიცი, ვინ მიიღო.

ს პ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი. მაშ ის ფული რა არის თქვენ რომ შეგიწირავთ ქალების სასწავლებლისათვის?

ბ ახ ვ ა ფ ა ღ ა ვ ა. ის ფული, ბატონო, ჩვენ გვეკუთნოდა, ჩვენ გავინაწილეთ, ჩამოვკრიფეთ, ერთად შევსვით და შევსწირეთ ქალების სასწავლებელს.

თ. დ ა თ ა მ ი ქ ე ლ ა ძ ე. მელქისედეკ ფალავა, მაშ თქვენ რა სთქვით, რომ ფული დიმიტრი ერისთავმა მოიტანაო?

მ ე ლ ქ. ფ ა ღ ა ვ ა. მე არ ვიცი, ვინ მოიტანა. მე ეგ არ მითქვამს, მე ვთქვი, ამბობენ-მეთქი.

ბ ახ ვ ა ფ ა ღ ა ვ ა. ეს, ეგ ბოლოვეცი-რა, გუშინდლამდის არ ვიცოდი, რა იყო; არც ახლა ვიცი, ვინ მოიტანა და არც ის ვიცი, ვინ შეკრიბა?

დ ავ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. მაგას თქვენ კი არ გკითხვენ; თქვენ ის ბძანეთ, ფული მოგვიდათ თუ არა?

ბ ახ ვ ა ფ ა ღ ა ვ ა. არ ვიცი, ბატონო.

დ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. დიახ, მელქისედეკ ფალავამ მითხრა, დიმიტრი ერისთავმა მოიტანაო.

თ. დ ა თ ა წ ულ უ კ ი ძ ე. მეც მოწამე ვარ, რომ სთქვა: დიმიტრი ერისთავმა მოიტანაო.

დ ავ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. თქვენ ეს ბრძანეთ, ფული მოიტანეს თუ არა?

მ ე ლ ქ. ფ ა ღ ა ვ ა. მოიტანეს.

— **რ ოდის მ ოიტ ან ე?**

— **ა მ ო რ ჩ ე ვ ის წ ინ ღ ამ ეს.**

— **თ ქ ვ ენ თ ვ ი თ ო ნ ნ ახ ე თ?**

— **ა რ ა. მ ი თ ხ რ ეს** და **დ ა რ წ მ უ ნ ებ უ ლ ი ვ ა რ.**

— **ვ ინ გ ი თ ხ რ ა თ?**

— **ბ ატ უ მ** და **მ იხ ა ილ ფ ა ხ ა ვ ე ებ მ ა. შ ემ ო დ ის მ იხ ა ილ ფ ა ღ ა ვ ა.**

დ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. სთქვით, ვინ მოგიტანათ ფული?

მ ი ხ. ფ ა ღ ა ვ ა. **ა რ ვ ი ც ი.**

— **ნ უ მ ა ლ ა ვ თ. მ ა რ თ ა ლ ი თ ქ ვ ი თ.**

(**დ ა ფ ი ქ რ ებ ის შ ემ დ ე გ**). **მ ა რ თ ა ლ ი** **რ ომ ვ თ ქ ვ ა, ა რ ი ქ ნ ებ ა კ ა რ გ ი** **დ ა ს ჯ ო ბ ი ა, რ ომ ა რ მ ათ ქ მ ე ვ ინ ო თ.**

— **თ ქ ვ ი თ, ფ უ ს ა თ უ ო დ უ ნ დ ა თ ქ ვ ა თ.**

— **ა ბ ა, პ რ ის ტ ა ვ ა მ ბ ა ქ რ ა ძ ე მ მ ოიტ ან ა.**

— **დ ი მ ი ტ რ ი ერ ის თ ა ვ ი ა რ გ ინ ა ხ ა ვ თ?**

— **ა რ ა. დ ი მ ი ტ რ ი ერ ის თ ა ვ მ ა კ ი ა რ ა, პ რ ის ტ ა ვ ა მ ბ ა ქ რ ა ძ ე მ მ ოიტ ან ა.**

— **რ ა დ რ ოს?**

— **ა ენ ჭ ის-ყ რ ის წ ინ ა ღ ამ ეს.**

— **თ ქ ვ ენ თ ვ ი თ ო ნ ნ ახ ე თ?**

— **ბ ა ქ ა ძ ე ჯ ერ ჩ ემ თ ან მ ოვ ი დ ა** **დ ა მ ოიტ ან ა ხ უ თ ა ს ი მ ან ე თ ი. მ ე უ ო ხ ა რ ი: ა რ შ ემ ი ძ ლ ი ა, მ ე მ ა რ თ ო მ ი ვ ი ღ ო. მ ე თ ქ ი. უ ნ დ ა დ ა ვ ე ე კ ი თ ხ ო. ჩ ემ ს მ ოძ მ ე ებ ს.**

— **მ ერ ე ფ ული ვ ის მ ოუ ტ ან ე ს?**

— **ბ ი ბ ი ს ა** და **მ უ რ ძ ა ყ ან ფ ა ღ ა ვ ას.**

— **ბ ან ა ი მ ათ დ ი ტ ო ვ ე ს ფ ულ ი?**

— **ფ ული გ ამ ო ვ ა რ თ ვ ი თ. ერ თ მ ა ჩ ვ ენ თ ა გ ან მ ა უ თ ხ რ ა პ რ ის ტ ა ვ ს, ა მ ფ ულ ს კ ი დ ე ვ მ ოუ მ ატ ებ ს** და **მ ა შ ინ ე ნ ა ხ ო თ ო...**

ა ქ შ ე ს წ ყ დ ა გ ამ ო კ ი თ ხ ვ ა. ვ გ ონ ებ, რ ომ ეს ჩ ვ ენ ებ ებ ი ს წ ო რ ა თ დ ა ვ წ ერ ე დ ა თ უ რ ა ი მ ე გ ამ ო ა კ ლ დ ა, ან ს წ ო რ ა თ ა რ ა ა რ ის ნ ა ჩ ვ ენ ებ ი ვ ს თ ხ ო ვ ე ი ქ დ ა მ ს წ რ ე თ ა შ ე ა ს წ ო რ ო ნ. ა გ რ ე თ ვ ე ს ა ჭ ი რ ო ა, რ ომ თ. **დ ა ვ ი თ წ ულ უ კ ი ძ ე მ,** თ. **დ ა ვ ი თ მ ი ქ ე ლ ა ძ ე მ,** თ. **პ ა რ მ ენ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ** და **დ ა ვ ი თ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ** **გ ამ ო ბ ბ ა ვ ნ ონ თ ა ვ ი ა ნ თ ი ჩ ვ ენ ებ ა, რ ა ც კ ი ი ც ი ან, ან რ ა ც თ. მ ელ ქ ის ედ ე კ ფ ა ღ ა ვ ის ა გ ან გ ა უ გ ო ნ ი ა თ.**

ბ. წ ერ ე თ ელ ი

ბ უ თ ა ი ს ი ს ბ ა ნ კ ი ს კ რ ებ ა

1 მ ა ი ს ი.

სხ ლ ო მ ა გ ა ი ხ ს ნ ა 11 ს ა ა თ ზ ე.

ა მ სხ ლ ო მ ა ზ ე **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს,** რ ომ **ბ ან კ ის მ ო ქ მ ე დ ებ ა გ ავ რ ცელ დ ეს თ ფ ილ ის ი**

გუბერნიაზედაცო; ლიკვიდაციის მოსახდენათ საჭიროა ბანკის კრება შესდგებოდეს არა ნაკლებ 2/3 რიცხვისა ყველა ხმის მქონე წევრთაო.

სხვა მუხლების განხილვა, რომელთაც უნდა შეეხოს ცვლილება, გადადვეს შემდეგ ჩვეულებრივ კრებამდის, მაგრამ სამი თვით წინეთ ამ კრებამდის მარშლების საშვალებით უნდა გაეგზავნოსთ ბანკის საზოგადოების წევრთა ქართულს ენაზე დაბეჭდილი ცვლილება და დამატება წესდებისა, რომლების მოხდენაც საჭიროთ არის დანახული.

სხდომა შეაჩერეს ცოტა ხნით. ზედამხედველი კომიტეტი გავიდა ცალკე ოთახში ვექილობების შესასწორებლათ სიებთან. გუშინდელს რიცხვს მეკენჭეებისას დღეს მოჰმატებია ბევრი. დღეს ერთბაშათ ემატება გუშინდელს რიცხვს კენჭეიისას 171, როგორც გამოჩნდა, როცა უყარეს კენჭი პირველს კანდიდატს მმართველის თანამდებობაზე.

დღეს რაღაც უფრო წყნარათაა საზოგადოება; ისეთი სიჩუმეა, როგორიც ათასჯერ სანატრელი იყო წასრულ დღეებში, მაგრამ არ გვეღირსა.

საზოგადოება ორ ბანაკითაა გაყოფილი. ორივე ბანაკში გასაკვირველი მყუდროებაა. ბევრს შეეტყობა, რომ ფერი ჰსცვლია. დიდი გულის ფანცქალი უნდა იყოს. მალე გენერალური ბრძოლა დაიწყება, შეიქნება რახა-რუხი კენჭებისა. უთუოთ დღეს გათავდება ბრძოლა. რაც მებრძოლნი ძალებია, ყველანი მოკრებილან; ან რაღა საჭიროა სადმე ძალის შენახვა? როგორც ეტყობა, მარტო-მარტო ერთი ბანკის გამგებლის ამორჩევა ყოფილა საინტერესო, და ესეც ამ წამში იქნება.

ზედამხედველმა კომიტეტმა ცოტა დაიგვიანა, მალე ვერ შეასწორა ვექილობები სიებთან, ვერ გამოვიდა კრებაში, რომ დაეწყოთ ბანკის მმართველის ამორჩევა, რომელიც დიდ-ვეება ლოდსავით მძიმეთ აწვა უმეტესობას გულზე. საქმე, როგორც დავინახეთ ამ დღეებში, ამ ლოდის გადაგორებაშია, თორემ აქამდის რაც იყო ან შემდეგ რაც იქნება, როცა მმართველი და დირექტორი იქნებიან ამორჩეულნი, ის რა მოსახსენებელია! ვეღარ შეჰსძლო კრებამ მოთმინება კომიტეტის მოლოდინში და შეიქნა ძახილი: „დაღამდა! დაღამდა!... რა არის, რომ ვეღარ გამოვიდნენ?“

დიდ ხანს იყო ამნაირი ძახილი. შემდეგ, როგორც იყო მოაწია სანატრელმა წამმა: შემოვიდა ზედამხედველი კომიტეტი, რომელსაც გადაეხედა ვექილობები.

უ. გ. წერეთელი. სანამ ამორჩევები მოხდებოდეს, საჭიროა ბანკის გამგეობის ხარჯის შემცირებაზე ვიქონიოთ ლაპარაკი. ზედამხედველ კომიტეტს აქვს ამაზე მოსახსენებელი ჰაზრი, რამდენათაც ვიცით. წინადადებაა, რომ ბანკის მმართველის ჯამაგირსაც მოაკლდეს წინა წლებისაზე.

—„არა, არა! არ იქნება ახლა ამაზედ სჯა!... არ შეიძლება!“ იძახოდა ბევრი.

მარტო უ. წერეთლის ჰაზრი არ ყოფილა, რომ ხარჯის შემცირებაზე ლაპარაკი წინეთ ამორჩევებისა ყოფილიყო; ამისთანა მოაზრე სხვებიც იყვნენ კაი ძალნი. თავმჯდომარემ ეს კითხვა შემდეგისათვის გადადვა და ჰსთქვა, რომ ახლა ბანკის მმართველის ამორჩევას უნდა შევუდგეთო.

თავმჯდომარე. როგორ ინებებთ მმართველის თანამდებობაზე ამოსარჩევ კაცების დანიშვნას? ინებებთ ბილეთებზე დასწეროთ, ვის ვინ ჰსურთ, თუ....?“

—„რა საჭიროა ბილეთები!“ მოისმა ხმა კრებიდან.—„ნიკო ლოლაბერიძე! ნიკო ლოლაბერიძე!“

—„დავით ბაქრაძე! დავით ბაქრაძე!“ იძახოდნენ მეორე მხრიდან.

მესამე კანდიდატურა წამოაყენეს დ. ი. ყიფიანის. რამდენმამე პირმა კრებაში გაცხარებული ყვირილი შეჰქნა ამ კანდიდატურის გაგონებაზე: „არ გვინდა! არ გვინდა!“ ამაზედ თავმჯდომარემ უთხრა მათ, რომ უფლება არა აქვსთ მათ მოითხოვონ, რომ, რადგან მათ არ ჰსურსთ, ეს კანდიდატურა არავისაგან იქნეს წამოყენებული. ზოგს ერთი ჰსურს და ზოგს მეორე; ყველას აქვს უფლება დაასახელოს კანდიდატიო. სამ. წულუკიძემ მოინდომა დ. ი. ყიფიანის შესახებ რაღაც ეთქვა, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ მისცა; ნებას ვერავის მივსცემთ კანდიდატებზე რამე ილაპარაკოსო; კანდიდატები დასახელებულნი იქნებიან, ჩაიწერებიან, და კენჭი გამოჰსთქვამს მათზე ჰაზრსო.

უ. ნ. ყიფიანი. მამაჩემისაგან მე მაქვს მონდობილი განვაცხადო თანხმობა, ანუ უთანხმოება მის კანდიდატათ წამოყენებაზე. იმას არა ჰსურს, რომ მისი კანდიდატურის წამოყენებით რაიმე უკმაყოფილება მოჰხდეს თქვენში და განხეთქილება. არ ჰსურს მას კენჭი ეყაროს.

ბევრს ყმაწვილ კაცებს დაურჩათ საწყენათ ამნაირი განცხადება უ. ყიფიანისა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა. განცხადებამ იმოქმედა, და მარტო ორი კანდიდატი ჩაიწერა: ნ. ბ. ლოლაბერიძე და დ. ნ. ბაქრაძე.

ახლა იმაზედ შეიქნა ლაპარაკი, თუ რომელს ამათგან უნდა ეყაროს კენჭი უწინ. ზოგი ამბობდა, რომ ჯერ უფ. ლოლაბერიძემ იყაროს კენჭი, რადგან ის იყო პირველათ დასახელებულიო, და შემდეგ უფ. ბაქრაძემო; ზოგი იმ აზრის იყო, რომ წილის-ყრით მომხდარიყო ეს საქმე. გაჩერდენ უკანასკნელ საშვალებაზე, და პირველათ კენჭის-ყრა შეჰხვდა დ. ნ. ბაქრაძეს, რომელსაც მოუვიდა 277 თეთრი და 349 შავი კენჭი.

დიდი სიჩუმე ჰსუფევდა კენჭის-ყრის დროს და შემდეგაც, როცა დაითვალეს კენჭები. ერთს მხარეზე მხიარულების ნიშანმა გადაჰკრა ბევრს და როგორღაც ცოტათ შეინძრენ, თითქო უნდოდათ რაღაც ეთქვათ, მაგრამ ჩვეულებრივმა ხელის ჩვენებამ წინამძღოლთა შეაჩერა მათი სურვილი.

ნ. ბ. ლოლაბერიძეს მოუვიდა 481 თეთრი და 89 შავი კენჭი...

ბაქრაძის კენჭის-ყრა რომ გათავდა, ერთი წყება წევრებისა ამ წამში გავიდა კრებიდან და აღარ დაბრუნებია მეორე კანდიდატის კენჭის-ყრას.

გათავდა თუ არა უფ. ლოლაბერიძის კენჭის ყრა, როცა შავ-თეთრ კენჭების რიცხვი ცნობილ იქმნა, შეიქნა „ურას“ ძახილი, რომელიც გაგრძელდა რამდენსამე წამს. ამ ურას ძახილში გამოჰჩნდა ამორჩეული. მას ჰსურს სიტყვა უთხრას საზოგადოებას..

—„სუ! სუ! გაჩუმდით! ამას უნდა ყურის დაგდება, თუ უნდა!“—ამბობდნენ.

ნ. ბ. ლოლაბერიძე. დიდს მადლობას გიცხადებთ ჩემი ამორჩევისათვის. ვჰმადლობ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ ამისთანა რწმუნება გამოიჩინა ჩემდამი, რომელიც მე ჯერ არაფრით დამიმსახურებია, და ღმერთსა ვსთხოვ გამამართლებიოს თქვენი ნდობა.

შეიქნა ტაში და ურა. შემოეხვიენ გარს ახალს ამორჩეულს, მიულოცეს და თითქმის ფეხი არ დაადგმევინეს, ხელით გაიყვანეს მეორე ოთახში.

სხდომა გათავდა 8 საათზე საღამოს.

(დასასრული შემდეგ №-ში იქნება)

ნამდვილზედ აწერია:

ვამტკიცებ ხელმწიფე დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის სხვაგან მყოფობისგამო თანაშემწე მისი გენერალ-ადიუტანტი კნიაზი სვიატოპოლკ-მირსკი.

31 მარტსა 1879 წ.

ქ. ტფილისი.

წესდებულება

თფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა, სადაც მოსახლობენ კავკასიის სანამესტნიკოში.

I. მიზანი საზოგადოებისა.

§ 1.

საზოგადოებას მიზნათა აქვს წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც-კი კავკასიისა სანამესტნიკოში ისინი მოსახლობენ.

§ 2.

საზოგადოება ამ მიზნამდინ მისაწევნელად:

ა. სადაც შკოლები არის გახსნილი, იმათ ხელს უმართავს;

ბ. სადაც საჭირო იქნება, ახალი შკოლების გახსნას ეხმარება, ან თვითონა ჰხსნის თავის ხარჯით;

გ. სახალხოთ წიგნების კითხვასა ჰმართავს და საკითხავებსა ჰხსნის;

დ. გამოსცემს სახელმძღვანოს და სხვა წიგნებსა სახალხო საკითხავად, აგრეთვე რამდენსაც შეიძლებს და საჭიროება მოითხოვს, თავისს ამბებს დაჰბეჭდავს, ან სხვა დროებითს გაზეთსა თუ ჟურნალსა, იმ რიგითა და ზომით, რო-

გორც ჯეროვანის წესით მთავრობა დაამტკიცებს.

ე. შეადგენს თავისს სამწიგნობროს, როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად; წიგნების საწყობებს, სადაც მუქთად თუ ფასით იქნება დასარიგებელი და პედაგოგიისათვის გამოსადეგი ნივთები და წიგნები.

ვ. ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს, რასაც-კი შეიძლებს, რომ შკოლებს გამოცდილი მასწავლებლები უშოვოს;

ზ. ჰმართავს საპედაგოგიო კურსებსა და მასწავლებლების თავის-მოყრასა;

ჱ. რომელნიც სახალხო შკოლებში უფრო ნიჭიერი შეგირდები იქნებიან, იმათგან სახალხო მასწავლებლებს მოამზადებს, ან იმ სასწავლებლებში, რაც აქამდისინ არის გამართული, ან-არა-და თვითან თავისი ხარჯით გამართავს ამისათვის ცალკე სასწავლებელსა. ყოველს ამ შემთხვევებში საზოგადოება იმ კანონებს ადგია, რაც ჰმოქმედებს.

§ 3.

საზოგადოება თავისს მიზანს ამითი მიაწევს, რომ სახალხო შკოლებში დასაწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებსა, და ჰზრუნავს რუსული ენის სწავლებისათვის თანახმად 22 ნოემბერსა 1873 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის აზრისა, წარმოთქმულისა სწავლების ნაწილის დასაწყობად კავკასიაში და კავკასიას გადმოღმა.

II. შეძლება საზოგადოებისა.

§ 4.

საზოგადოების შეძლებას შედგენენ:

ა. წევრთაგან შესატანი ფულები;

ბ. შემთხვევითი და ნებაყოფლობითი შეწირულობა, ან სხვა შესტანი კერძო პირებისაგან, ან სხვა საზოგადოებათაგან;

გ. შემოსავალი საზოგადოებისაგან გამონაცემი წიგნებისა, სახალხო საკითხავებისა და სპეკტაკლებისა და სხვა ყოველი კანონით ნება-დართული საშოვარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საზოგადოებას ნება აქვს პირობიანი შესაწირავიც მიიღოს ხოლმე, თუ რომ პირობა არ იქნება საწინააღმდეგო რითიმე ან საზოგადოების მიზნისა, ან მმოქმედი კანონებისა.

საზოგადოება თავისს ფულებს ინახავს, ან თავისს კასსაში, ან ბანკებში. რა წესით უნდა შეინახებოდეს ეს ფულები, ითვლებოდეს, შემოწმდებოდეს და იხარჯებოდეს, ეს წესი საზოგადოების საერთო კრებამ უნდა დაადგინოს.

განცხადებანი

„წიგნის-ცოდნის გამავრცელებელის საზოგადოების“ თავმჯდომარე მოიწვევს უფ. შემდგენელთ და ნამდვილთა წევრთა საზოგადოებისა საერთო ყრილობაში შემოსავალ-გასავლის მოსაზრებულ ანგარიშის (სმეტა) გაშინჯვისა და დამტკიცებისათვის.

ყრილობა იქნება 20 მაისს, კვირას 11 საათზე, დილით, თავად-აზნაურობის ბანკის ზალაში.

(3—1)

ვისაც სურს იყიდოს მშრალი ხეები ფიჭვისა და სხვა საშენებელ ტყის, შეუძლიან მიმართოს რკინის გზის ვაგზალზედ, სადაც შეშას აწყობენ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება არსენალის ქუჩაზე სახლის № 31 უფ. ფულინოვის სახლებში. იკითხეთ ბუჭყიაშვილი.

(3—2)

ამ მაისის 15-დგან [illegible] ქვა-მარილის მაღაზია ქ. გორში და ხაშურში. გორში—გიორგი რომანოვთან და ხაშურში—ცუცუნია არუწოვთან.

გორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც თფილისში ისყიდება.

გრიგოლ ბარამოვი და გიორგი რომანოვი.

(15—3)

---

15 ამ თვისას დანიშნულია საზოგადო კრება თფილისის საზოგადოებისა, რომელმაც სწავლა—განათლება უნდა გაახშიროს მთელ საქართველოში.

(4—3)

თფილისში, უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანის

ნაწერი

და

ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ორბელიანისა

ფასი წიგნისა ათი შაური.

(5—4)

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (ხ. მი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ.
თფილისი, 16 მაისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	—
ფქვილი წითელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	40
გაპენტილი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი.	6	20
— თარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ. .	2	10
ქონი, ფუთი	5	80
ქონის სანთელი ფუთი .	7	—
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
— ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	25
— ფხვნილი ფუთი . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაშურული ფთ.	6	50

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბაგლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 мая 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.